პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 16 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

56 (1051)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფის ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ერთა ლიგის კრიზისი.

ერთა ლიგა ამ ჟამათ კრიზისს განიცდის.

ერთა ლიგა, რომელიც მიზნად ისახავდა სხვა და სხვა სახელმწიფოების ერთ მთელში გაერთიანებას და მშვიდობიანობის უზრუნველყოფას—დღეს ეს ერთა ლიგა კარგავს თავის წონასწორობას. ერთა ლიგის წონასწორობის შერყევა და მათ უთანხმოების წარმოშობა ერთა ლიგის საბჭოს წევრთა შორის—კარგად ამჟღავნებს იმ ფაქტს, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მშვიდობიანობის ენით ერთიმეორეს ელაპარაკონ და სრულ შეთანხმებას მიაღწიონ.

მართალიც, რომ ასეთ შეთანხმებას ადგილი არ აქვს ერთა ლიგაში და რომ ამის გამო ერთა ლიგა საგრძნობ კრიზისს განიცდის, ამის დამტკიცება შეიძლება უკანასკნელი დეპეშების ცნობებით.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ერთა ლიგას სურს გერმანია მიიღოს ერთა ლიგაში, როგორც მუდმივი წევრი. მაგრამ ამ საკითხის სასურველათ გადაჭრა გერმანიისათვის, ასე ადვილათ არ მოხერხდა.

ამ საკითხის გადაჭრის შეჩერებას, უკანასკნელი დეპეშების ცნობით, ის გარემოებაც აფერხებს, რომ ბრაზილიას და განსაკუთრებით კი პოლონეთს ერთა ლიგაში არ უთმობენ მუდმივ ადგილს და დროებით წევრებათ ღებულობენ.

ამ გარემოებას ბრაზილიის წარმომადგენელი დიდი პროტესტით შეხვდა და განაცხადა, რომ ის ხმას მისცემს გერმანიის ერთა ლიგაში არ მიღებას, თუ ბრაზილიას არ მისცეს მუდმივი ადგილი.

მაგრამ მეორე მხრივ, იტალიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ იტალიაც წინააღმდეგი იქნება გერმანიის ერთა ლიგაში მიღებისათვის, თუ პოლონეთს არ დაეთმო მუდმივი ადგილი.

ხოლო რაც შეეხება ისპანიას, ის აპირებს ერთა ლიგიდან გამოსვლას იმ შემთხვევაში თუ მას არ დაეთმობა მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში. მაშასადამე, როგორც ვხედავთ სხვა და სხვა სახელმწიფოებს შორის იმართება ერთგვარი ბრძოლა ერთა ლიგაში მუდმივი ადგილის მოპოვებისათვის და ამ საკითხების ჯერ კიდევ არ მოგვარება იწვევს გერმანიის მიღების საკითხის ჯერ კიდევ დადებითად არ გადაჭრას.

მაგრამ ისმება ასეთი საკითხი: რა არის მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებს ესპობა მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში?

ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძებოთ საფრანგეთის და ინგლისის დიპლომატიურ მოსაზრებებში.

საფრანგეთს და ინგლისს ამოძრავებს რა საკუთარი იმპერიალისტური ინტერესები—ვერ ითმენენ, რომ ზემოთ აღნიშნული სახელმწიფოები გახდენ ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრები, მუდმივი ადგილების შენარჩუნებით.

ასეთი გარემოება კი ქმნის უთანხმოებას და მაშასადამე ერთა ლიგის მშვიდობიანობის და ერთობის იდეის დამარცხებას და კრიზისის გაღრმავებას.

ამიტომ ცხადია, რომ ერთა ლიგა აგებულია იმ ძალთა წინააღმდეგობაზე, რომელსაც ადგილი აქვს ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის და მათ შორის შეთანხმება კაპიტალისტური გარემოცვაში განუხორციელებელი ოცნების სახეს ღებულობს.

ამ კრიზისის კვანძის გახსნა და საერთაშორისო მშვიდობიანობის და უკეთესი მომავლის დამყარება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ევროპის სოციალისტურ რევოლიუციას.

## ს. კ. პ. (ბ) ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს.

ცირკულიარულად.

ა/წ. 21 მარტს სრულდება 5 წელი ქართულ წითელ არმიის დაარსებიდან. აღნიშნული დღესასწაული გატარებული უნდა იქნეს მშრომელთა ფართო ფენების, პარტორგანიზაციების, პროფკავშირების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით.

1. პარტორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც დაარსდება ადგილობრივ სამაზრო და ავტ. რესპუბ. აღმასკომებთან, დღესასწაულის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის შესრულებისა და თვით დღესასწაულის ჩატარებისათვის.

2. პარტუჯრედების ღია კრებებზე ახ. ლ. კ. კ. უჯრედების მონაწილეობით დაისვას მოხსენება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების აღმშენებლობის შესახებ და განსაკუთრებით ნაციონალურ სამხედრო ძალების აღმშენებლობის შესახებ. იმავე თემაზე მოხსენება გაკეთდეს შესაძლებლობის მიხედვით: წარმოებებში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, სოფლად თემის საბჭოების გაფართოებულ სხდომებზე და ქოხ სამკითხველოებში.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დღესასწაულის მომზადებას ისეთ ადგილებში, სადაც სდგას სამხედრო ნაწილები, როგორც ძირითადი კადრების, ისე ტერიტორიალურ ერთეულების. დღესასწაულის დღეს სამხედრო ნაწილებთან გამოწვეულ იქნან მახლობელ ადგილებიდან მუშები, მშრომელი გლეხობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისათვის და სამხედრო ნაწილების ყოფა-ცხოვრების გაცნობის მიზნით.

4. 21 მარტს მოეწყოს სამხედრო ნაწილებთან გაერთიანებული საზეიმო სხდომები.

5. გლეხთა სახლებში, მუშათა კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში მოეწყოს სამხედრო კუთხეები.

6. საშეფო ორგანიზაციებმა და კულტურულ განმანათლებელ ორგანოებმა შესაძლებლობის ფარგლებში მოაწყოს სამხედრო ნაწილებისათვის გასართობები, თეატრებში, კინოებში და სხვა.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი: მ. ოკუჯავა.

საagit. საპროპ. განყ. გამგის მაგ. გორდელაძე.

## მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია სსრკ-ში.

ახლო მომავალში საბჭოთა კავშირში გამოემგზავრება მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია, რომლის მიზანია გაიცნოს საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ცხოვრება და მიღწევები სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის დარგში.

## მომავალ კონკურსისათვის.

საქართველოს წითელი არმიის ხუთი წლის არსებობის აღსანიშნავად მე-2-ე დივიზია აწყობს კონკურსს საუკეთესო სამხედრო კუთხეზე, ცვალებადელზე, მკითხველ წითელ არმიელზე, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორზე, მსროლელზე და ასეულის ბიბლიოთეკარზე.

ამ კონკურსის დიდი მნიშვნელობა, უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს: კონკურსი დაგვანახვებს თუ, როგორ მიმდინარეობდა მუშაობა ზემოაღნიშნულ დარგებში და რა სასურველ შედეგებამდი მივაღწიეთ ჩვენ.

დღიდან საქართველოს წითელი ჯარის საძირკვლის ჩაყრისა დიდი მუშაობაა ჩატარებული, რის შედეგად ჩვენ დღეს გვყავს საუკეთესოთ გაწვრთნილი და ბრძოლის უნარიანი წითელი ლაშქარი. პოლიტსაგანმანათლებლო და სამხედრო მომზადება ჩვენ წითელ ჯარში ყოველთვის მაღალ საფეხურზე იდგა და აი ამ კონკურსმა უნდა დაგვანახოს ნათლად მიღწევები ჩვენი ჯარის არსებობის მეხუთე წელზე. დიდი მუშაობაა ჩატარებული აგრეთვე ტერაღმშენებლობის ირგვლივ. საქართველოს მშრომელთ კარგათ აქვთ შეგნებული მნიშვნელობა ტერსისტემისა, რაც დამტკიცდა შეკრებების ჩატარების დროს.

კონკურსის პირობებში გათვალისწინებულია ეს მხარეც მუშაობისა და ამიტომ ყველა ზემო ჩამოთვლილი საკითხების გაშუქების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს მიღწევებს ტერიტორიალურ პირობებში. საქართველოს ბევრ დაბა-სოფლებში ბოლო დროს დაარსდა სამხედრო კუთხეები, სადაც სწავლობენ მოსახლეობის გასამხედროება და რომლებიც ავრცელებენ ხალხში სამხედრო ცოდნას. ეს კუთხეები არიან ტერსისტემის ძირითადი უჯრედები. კონკურსის საშუალებით უნდა ნათელვყოთ მათი მუშაობა, აღვნუსხოთ ნაკლი და მიღწევები და გამოვძებნოთ საშუალებები მათი მუშაობის უფრო კარგ პირობებში ჩასაყენებლად.

არც ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი ჩვენი ცხოვრების, არც ერთი მიღწევა არ უნდა იქნეს გამოტოვებული.

ნაწილები ეხლავე უნდა შეუდგნენ მასალების დაგროვებას, მის სისტემაში მოყვანას, რომ ჩვენი ჯარის არსებობის ხუთი წლის თავისთვის ხელთ გვქონდეს ჩვენი მიღწევების ნათელი სურათი.

ე. ხუციშვილი.

## ახალი რადიო ამბები

### რ. ლენინურ ახკომკავშირის მე-7 საკავშირო ყრილობა

### ამხ. რიკოვის მისალმება

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა ყრილობისადმი მისალმებაში განაცხადა: „ჩვენი ძველი თაობა, ძველი ბოლშევიკური გვარდია საკმაოდ გამობრძმედილია ბრძოლაში რევოლიუციისა და მუშათა კლასის დიქტატურისთვის. ის დასძლევს იმ დაბრკოლებებსაც, რომელიც მას წინ უდევს სოციალიზმის განხორციელების გზაზე. მაგრამ მე არ ვფიქრობ რომ იმ თაობამ, რომელსაც მე ვეკუთვნი, დაასრულოს საბოლოოდ სოციალიზმის აღმშენებლობის საქმე. ამ საქმის დაბოლოება დაგეკისრებათ თქვენ, სოციალისტურ რევოლიუციის ახალგაზრდა თაობას.

ოდესღაც ვლადიმერ ილიჩმა სთქვა: „საქმე რაოდენობაში კი არა, ხარისხშია, უმჯობესია ცოტა და კარგი“. ეს მთლიანად არ უდგება კომკავშირს. კომკავშირი უნდა იყოს „მეტიცა და კარგიც“. რიცხობრივ ზრდაში თქვენ დღითიდღე დიდ შედეგებს აღწევთ. თქვენ მუშაობაში რაც არ უნდა იქნას წითელი ზოლივით უნდა ჩანდეს ორგანიზაციის ღირსების გაუმჯობესება“.

### სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლის თავი ჩინეთში

მთელს ჩინეთში ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელის-სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლისთავი.

იმართებოდა დემონსტრაციები და მიტინგები.

წლისთავის მომწყობ კომიტეტმა გამართა პეკინში მყოფ უცხოელთა მიღება.

მისაღები დარბაზი მორთული იყო ლოზუნგებით. ერთ ლოზუნგში ნათქვამი იყო: „ჩვენი მეგობარია ის ხალხი, რომელიც უარყოფს არა თანასწორ უფლებიან ხელშეკრულებებს“.

### ჯოჯოხეთურ პოლონეთში.

### შიმშილობა ტარნოვის ციხეში.

ტარნოვში შიმშილით გაფიცვა გამოაცხადა 18 პოლიტპატიმარმა, რომლებსაც უკვე 7 კვირაა საშინლად აწამებენ ბრალდების წაუყენებლად.

პატიმრები მოითხოვენ გამოძიების დაჩქარებას, საპრალმდებლო ოქმების ჩაბარებასა და პირისპირ წაყენებას პროვოკატორებთან, რომლების მითითებითაც დაპატიმრებულ იქნენ ისინი.

### პატიმრები იხოცებიან

გროდნოს საკატორღო ციხეში გარდაიცვალა ბელორუსიის რევოლიუციონერი რადკევიჩი, რომელიც 4 წელიწადი იჯდა აღნიშნულ ციხეში.

ამავე ციხეში ამ ხანებში გარდაიცვალა სამი ბელორუსი გლეხი, რომლებიც იჯდენ ციხეში 1921 წლიდან პოლონეთის პოლიციელის მოკვლისთვის.

### ინგლისური გაზეთი მდგომარეობის გამწვავებას სცდილობს

12 მარტს იაპონიის ნაღმოსნებს ყუმბარები დაუშინეს ტაკუს ნავთსადგურიდან.

ინგლისის ერთი რეაქციონური გაზეთი სცდილობს გაზვიადოს ეს საქმე და სწერს, რომ ეს შემთხვევა ჩინეთის სახალხო არმიების მტრული გამოსვლაა იაპონიის წინააღმდეგ.

# პარტიის წევრების და კანდიდატების გააქტივების ზოგიერთი საშვალებანი.

ჩვენი ნაწილების პარტ-ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ პარტ-წევრების და კანდიდატების თვით განვითარების საკითხებს. ამ მიზნით ნაწილებში არსებობენ სხვა და სხვა ხასიათის წრეები, რომლებშიც მუშაობენ როგორც პარტიის წევრები და კანდიდატები აგრეთვე უპარტიო წ/მოლაშქრენიც.

წრეების გარდა ნაწილში არსებობს პირველი და მეორე საფეხურის პარტსკოლები. ამას გარდა პარტიის წევრს და კანდიდატს ყოველთვის ევალება მოხსენებების გაკეთება უჯრედის კრებებზე, საუბრების ჩატარება ლენინის კუთხეში, და მუშაობა ავიოქიმის, რემედასის და სხვა საზოგადოებებში.

ერთი სიტყვით, თუ ნაწილში უჯრედი რიგიანად მუშაობს, იმ შემთხვევაში ყოველი მისი წევრი უსათუოდ იქნება აქტიური მომუშავე.

პარტ-კომისის მიერ ნაწილების პარტმუშაობის დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი ნაწილებს შემოუღიათ ერთგვარი მეთოდი წევრების და კანდიდატების გასააქტივებლათ.

ეს მეთოდი შემდეგი ხასიათისაა: მაგალითად, ნაწილში ეწყობა უჯრედის ღია კრება, რომელზედაც გამოდის მომხსენებელი თანამომხსენებლით. ეს ამხანაგები რასაკვირველია წინასწარ ემზადებიან მოხსენებისათვის.

მხოლოდ მომხსენებელს ასახელებენ სუსტ პიროვნებას, ხოლო თანამომხსენებელი უფრო მომზადებული ამხანაგია. ეს იმ მიზნით, რომ რასაც სუსტი მომხსენებელი ვერ შესძლებს, მას ძლიერი შეასრულებს.

მე მგონია ასეთი მეთოდით ამხანაგის გააქტივებას ვერ შევძლებთ და პირიქეთ დაუკარგავთ მათ ყოველივე უნარიანობას და აი რატომ. ორგანიზაცია სუსტ ამხანაგს ავალებს პარტიული დისციპლინის ძალით მოხსენების გაკეთებას ღია კრებაზედ. ამავე დროს მას ყავს თანამომხსენებელი ბევრათ უფრო მომზადებული ამხანაგი. ამ დროს როგორ გრძნობს თავს სუსტი ამხანაგი? რასაკვირველია უხერხულათ. მაგრამ ის ამაზედ ვერაფერს იტყვის, რადგან მას პარტია ავალებს მოხსენების გაკეთებას და მან ეს უსათუოდ უნდა შეასრულოს, და თუ იტყვის უარს, მოეთხოვება სასტიკი პასუხი.

მე მგონია ასეთი მეთოდით ამხანაგებს შევაშინებთ და დაუკარგავთ აქტივობის უნარს.

კიდევ შეიძლება ერთი საშვალების დასახელება, რომელიც ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული:

ბევრი ისეთი ამხანაგებია ჩვენს რიგებში, რომლებსაც საერთო კრებებზედ ლაპარაკი არ შეუძლიათ; ამავე დროს ისინი ითვლებიან საუკეთესო მომუშავეთ სხვა დარგში. რა უყოთ რომ ყველას არ შეუძლია საჯაროდ ლაპარაკი და მოხსენების გაკეთება? სამაგიეროთ ასეთ ამხანაგს სხვა საქმეში მივაღებიებთ მონაწილეობას და ამით გაუღვიძებთ მუშაობის ხალისს. ეს პატარა შენიშვნა მგონი მიზან შეწონილია და ნაწილის ორგანიზაციებმა მას უნდა მიაქციონ ყურადღება და ფართედ უნდა გამოიყენონ იგი. ნაწილებში ბევრი სამუშაო გვაქვს და ამ მუშაობაში შეიძლება ყველა ამხანაგის გამოყენება და გააქტივებაც.

ს. ლომიძე.

# სამხედრო საქმე

## ადგილმდებარეობა, მისი მნიშვნელობა და გამოყენება.

ხმელეთზე მებრძოლს უხდება მოქმედება სამი უმთავრესი სახის ადგილმდებარეობაში: 1) ველ-მინდვრიან მიდამოებში, 2) ტყე-ჭალებიან და 3) მთაგორიან ადგილებში.

სამივე ზემოხსენებულ ხასიათის ადგილებში საჭიროა—სათანადო ხასიათის ბრძოლის წარმოება, რომელნიც არსებითად განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან.

ადგილმდებარეობას ბრძოლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მოქმედების მიდამოში, ბრძოლის გეგმის შესაყენებლად მეთაური რუქის ან პირადი დათვალიერების საშვალებით ირჩევს თავისი ნაწილისათვის მეტად ხელსაყრელ ადგილს. უფრო მოხერხებული და ხელსაყრელი ადგილის დაკავება იძლევა დიდ შედეგს ბრძოლაში; ამიტომ ასეთი ადგილების დაკავებისთვის ხშირად ხდება ბრძოლა. ვინც ასეთ ადგილს ხელში ჩაიგდებს, ის ხდება მბრძანებელი მოპირდაპირისა,—იქცევს ამ უკანასკნელს თავის გავლენის ქვეშ.

ადგილმდებარეობას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი ბრძოლის წარმოების დროს.

ადგილმდებარეობის ბრძოლისათვის დიდ მნიშვნელობას გვიმტკიცებს კიდევ ის, რომ ბუნებრივ მის სახეს ბრძოლის ველზე ცვლიან და აკეთებენ ხელოვნურად, რათა უფრო ხელსაყრელად შეეძლებოდეს მისი გამოყენება: თხრიან სანგრებს, აკეთებენ მავთულ—ხლართებს, უცვლიან მიწას ბუნებრივ ფერს სხვა და სხვა სალებავებით და სხვა. ყოველ ადგილობრივ საგანს, მაგ. ფერდოებს, თხრილებს, შენობებს და სხვა ასეთებს აქვს მნიშვნელობა, ამიტომ თვითეულმა მებრძოლმა უნდა ეცადოს გამოიყენოს ასეთი საგნები მისდა ხელსაყრელად: ხშირად ხდება, მაგალითად, შეტევითი ბრძოლის წარმოების დროს, არმიელი წინ გადარბენის დროს, გაირბენს რა ნაჩვენებ მანძილს (10-15 ან მეტ ნაბიჯს), წაწვება ტრიალ მინდორზე უსაფროდ, ხოლო რომ გადაავლოს თვალი მის ირგვლივ, ერთ-ორ ნაბიჯზე წინ, უკან, ან გვერდზე მას ახლავს ან თხრილი, ან პატარა ფერდო, რომელთაც შეუძლია დაიფაროს ის მტრის ცეცხლისაგან. ვინც ასე იქცევა, ის დიდ დანაშაულს სჩადის. დიდი ურჩობა არ იქნება უფროსის წინაშე, არც მისი ბრძანების დარღვევა იმით, თუ რომ წითელ არმიელი ორი-სამი ნაბიჯით ზედმეტს წინ წაიწევს, ან უკან დარჩება, ან გვერდზე მიიწევს; პირიქით, ეს მეტად სასარგებლო იქნება, ვინაიდან, ის სარგებლობს რა ახლო მყოფ საფარით (საგნით), წით ლ არმიელი მტრისთვის უჩ ნარი და, მაშასადამე, უვნებელი გახდება, ხოლო თვითონ კი კარგად დაათვალიერებს მტერს და მოხდენილი ცეცხლით მიაყენე ს მას მეტ ზიანს. თავის დ ფარვით და უვნებლად დარჩენით თვითეული მებრძოლი უმატებს ძალას თავის ნაწილს ხიშტით შემოკვრის დროსთვის.

რას ნიშნავს ხელსაყრელი ადგილი ბრძოლის ველზე?

ადგილი, რომელიც ჩვენ დავიკავეთ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხელსაყრელია ჩვენთვის იმ შემთხვევაში, თუ ის გვაძლევს ჩვენ საშვალებას კარგად ვათვალიეროთ მტერი და კარგადაც ვესროდეთ მას, როდესაც ის ჩვენზე მოიწევს, ან სანგრებში ზის. ვისაც სურს კარგად ხედავდეს წინ მდებარე მიდამოს, ცხადია, ამისთვის ის არ ჩაძვრება ორმოში, არამედ მოთავსდება მაღალ ადგილას; ვისაც სურს მის სანგრებთან მოსულ მტერს ესროლოს მეტის სიძლიერით, მან არასოდეს არ უნდა დადგეს დაბლობში, არამედ მაღლობზე. ვინაიდან დაღმართში უფრო მეტის სიჩქარით, თანდათანი გამაღლებით და ფიზიკურად ნაკლებ დაღლით ხდება სვლა, ვიდრე ეს აღმართში შეტევისას. ამრიგად სანგარი უნდა ამოარჩიო არა მაღლობის ძირში, არამედ მის თავზე. ამ უკანასკნელზე კი ისე უნდა მოეწყო, რომ მტრისთვის არ უნდა მოსჩანდე, ვინაიდან თუ მტერი გათვალიერებს, ის გაიგებს ყოველივე შენს მოძრაობას და აქედან კი მოქმედების გეგმასაც. ამრიგად მაღლობების იმ მხარეს, რომელიც მტრისაკენაა მიქცეული, არ უნდა ვიკავებდეთ. საერთოდ ადგილს ისე უნდა გამოყენება, რომ მას საერთო ბრძოლისთვის არ მოჰქონდეს ზიანი, ე. ი. მტერს არ უნდა ჰქონდეს ჩვენი თვალიერების საშვალება, მასთან ადგილზე ისე უნდა მოვეწყოთ, რომ ყოველთვის შეგვეძლოს თავისუფლად მოქმედება მტრის წინააღმდეგ.

ბრძოლაში საერთო და უკანასკნელი მიზანია გაძლიერდე იმდენად, რომ შესძლო მოპირდაპირის ძლევა; ამაში კი დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილმდებარეობას და მისი ყოველივე თვისებები უნდა იქნეს ჩვენს მიერ სავსებით გამოყენებული.

დ. მელაძე.

## ძიება.

ბრძოლაში უმთავრესია იცოდე მტრის ყველაფერი: სად არის ის, რას აკეთებს, ან რას აპირებს, როგორია მისი სულიერი განწყობილება და სხვა.

რამდენათ მეტია ცნობა მტრის მდგომარეობაზე, იმდენათ ადვილია ჩვენთვის ამორჩევა, თუ რომელ ადგილას—მიმართულებით შემოვკრათ მას, რომ ადვილად გავიმარჯვოთ მასზე. მტრის წინააღმდეგ რომ იმოქმედოთ, ამისათვის წინასწარ უნდა გაიგო ყოველივე მის შესახებ, და შემდეგ კი გადასწყვიტო — თუ როგორ იმოქმედო.

ამ მიზნით ორივე მოწინააღმდეგე ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ გაიგონ მოპირდაპირის შესახებ ყველაფერი, ხოლო თავიანთი განზრახვები კი ერთმანეთს დაუმალონ. ბრძოლის წარმოებაში ამ ამოცანებს უპასუხებს ორი რამ: 1. ძიება და 2. დაცვა.

მტერზე გამარჯვებისთვის არის ერთი ურყევი აზრი: რომ მტერს მოერიო, უნდა იყო ძლიერი მასზე გადამწყვეტ დროს და გადამწყვეტ ადგილას.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ამ შემოსაკრავ ადგილას ჩვენ უნდა მოვკრიბოთ იმდენი ძალა, როგორც ცოცხალი (ადამიანები), აგრეთვე ტეხნიკა, რომ შევიქნეთ მტერზე ძლიერი. რომ ეს სწორედ გავიანგარიშოთ და ავფასოთ, ამისათვის უნდა შევადაროთ ჩვენი მდგომარეობა და ძალება მტრისას. ეს კი შეგვეძლება მაშინ თუ მტრის შესახებ ყოველივეს გავიგებთ. თუ მტერზე არაფერი არ ვიცით, მასთან ბრძოლა შეუძლებელია, ხოლო რამდენად მეტი ვიცით მის შესახებ, იმდენად მეტი გაბედულობით ვიმოქმედებთ მის წინააღმდეგ, რაიც ამრკეცებს ჩვენს უნარიანობას და ენერგიას.

მტრის ცოდნა გვაცილებს ჩვენ კიდევ ერთ საფრთხეს ბრძოლის მსვლელობაში, რომელსაც ეწოდება მოულოდნელობა და რომელსაც მოაქვს დიდი ზიანი მოქმედებისათვის.

ყოველივე ამ საკითხებს უპასუხებს ძიება—მტრის დაზვერვა. ძიებას იმდენი მნიშვნელობა აქვს ბრძოლაში, რამდენად ყველა ჩვენგანისთვის ბნელ ღამეში გზის მანათობელ სანთელს, ურომლისოდაც ბნელ ღამეში ადვილად გადაეჩეხები რამეს და გადავარდები კლდეებში.

ის ნაწილი, რომელიც აწარმოებს წინსვლას და მოქმედებას ბრძოლაში უძიებლად, შეედარება ადამიანს, რომელიც მიეხეტება ხელის ფათიალით ბნელ ოთახში რაიმეს მოსაძებნად, რის მოძებნამდისაც ის ბევრს რაიმეს დაეტაკება მოულოდნელად.

—ძე.

(შემდეგი იქნება)

# ბრძოლა ეკონომიისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეურნეობა და, კერძოდ, მრეწველობა ჩქარი ნაბიჯით ვითარდება, ის მაინც საგრძნობლად რჩება უკან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მოთხოვნილებათა ზრდას. ირკვევა, რომ ჩვენმა მსხვილ მრეწველობამ სავსებითაც რომ აასრულოს 1925—26 წლის პროგრამა, მისი გამოშვებული საქონლის რაოდენობა მაინც ჩამორჩება მინიმალურად გამოანგარიშებულ მოთხოვნილებას 30%-თ.

1924-25 წელში წარმოების ზრდაში ჩვენ 62 პროცენტით წავსდგით წინ ნაბიჯი. 1925-26 წელში ჩვენ 35—40 პროცენტით დაუხლოვდებით წარმოების შემდეგი განვითარებისათვის ყველა შესაძლებლობათა ამოწურვას. ჯერ ერთი ჩვენ ასივე პროცენტით გამოვიყენებთ მომქმედი ქარხნების ტეხნიკურ საშუალებებს; მეორე, ჩვენ ძალიან ცოტა დაგვრჩა ასამუშავებელი ფაბრიკა-ქარხნები, მესამე—გაიზარდა დაბრკოლებანი მრეწველობის მომარაგების საქმეში ნედლი, სათბობი და ზოგიერთი ხელშემწყო მასალებით.

ყველაფერი ეს ერთად აღებული პირველ ადგილზე აყენებს საშუალებათა დაგროვებას აღდგენისა და საამშენებლო მუშაობის უფრო მეტი განვითარებისთვის ჩვენი მეურნეობის სხვა და სხვა დარგებში. საშუალებათა დაგროვება იწვევს ეკონომიის მტკიცე დაცვის აუცილებლობას. ეკონომიის დაცვა უნდა გამოიხატებოდეს ბრძოლაში ზედმეტი ხარჯების წინააღმდეგ, საბჭოთა გროშების დაზოგვაში, ქვეყნის ყველა ძალთა მობილიზაციაში უდიდესი შედეგების მიღწევისთვის სახალხო შრომის ნაყოფიერების საქმეში.

ეკონომიის აუცილებლობის შესახებ ჩვენ დიდი ხანია ვლაპარაკობთ. არ შეიძლება თქმა, რომ ამ მხრივ ჩვენ არაფერი გაგვეკეთებიოს. მიღწევები ჩვენ გვაქვს. მაგრამ მათ არ ამოუწურავთ ყველა შესაძლებლობანი და ისინი მცირეა ჩვენს წინაშე მდგომ სამეურნეო ამოცანებთან შედარებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ზოგიერთ საწარმოთა გამოკვლევამ თვალსაჩინო ჰყო, რომ ბრძოლით, საწარმოებში ზედნართი ხარჯების დაკლებისთვის, შეიძლება მიღწეულ იქნას მნიშვნელოვანი დაზოგვა მეურნეობაში. ვინ არ იცის რა უბრალო ხარჯებს იწვევდა არა საჭირო რეკლამა, ნედლი და სათბობი მასალის არა ეკონომიურად გამოყენება, სხვა და სხვა ანარიცხი, რომელიც არაა დაკავშირებული საწარმოს ეკონომიურ, ტეხნიკურ ამოცანებთან და სხვა.

საწარმოო თათბირების მასალებიდან ჩვენ ვიცით, თუ როგორ იზრდება ზედნართი ხარჯები იმის გამო, რომ დაზგა გაჩერდა უბრალო მიზეზის გამო, რომლის თავიდან აშორება სავსებით შესაძლებელია, თუ როგორ იხარჯება ნედლი, სათბობი და ხელშემწყო მასალები დაუზოგავად, თუ როგორ არა რაციონალურად იყენებენ სამუშაო დროს რთული ტეხნიკის გამო და სხვა.

მრეწველობაში, რომელშიაც ჩაბმულია დღეს 2 მილიონამდი მუშა და რომლებიც იძლევიან პროდუქციას $6\frac{1}{2}$—7 მილიარდ ჩერვონეც მანეთამდი, ყოველი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება წარმოების მიზან შეწონილად მოწყობისა და ხარჯების შემცირებისკენ, უსათუოდ დიდ ეკონომიას, დიდ დაზოგვას შეჰქმნის. მხოლოდ ერთი მაგალითი გახდის ამას თვალსაჩინოდ.

როგორც ვიცით, გარდა დაკანონებულ ანარიცხებისა შრომის ხელფასზე, სამრეწველო დაწესებულებანი აწარმოებენ აგრეთვე დამატებითი ანარიცხებს სხვა და სხვა კულტურულ-სოციალურ საჭიროებისთვის. ეს ანარიცხები თამაშობენ $\frac{1}{2}$-დან $\frac{3}{4}$ პროცენტებს შორის. ყოველ ცალკე საწარმოოში ის დიდ თანხას არ შეადგენს. მაგრამ ერთად აღებული ის აღწევს 10—12 მანეთამდი წელიწადში. ამასთან რამდენია ხარჯები, რომლებიც არ არიან უშუალოდ დაკავშირებული საწარმოს საჭიროებებთან? გადამეტება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თვით ადვილად შესამჩნევი ზედმეტი ხარჯების მოშორებითაც კი ჩვენ გავაკეთებთ ათეულ-მილიონის ეკონომიას.

გარდა საწარმოო რეჟიმის გაჯანსაღებისა, ეს დაზოგვა წასწევს წინ საშვალებათა დაგროვების საქმეს, რომლის ხარჯზე ჩვენ გავადიდებთ დღეს ჩვენი კავშირის ესოდენ საჭირო ძირითად კაპიტალს.

ბრძოლა ეკონომიისთვის წარმოადგენს საზოგადოებრივ საქმეს ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. არ არის არცერთი მუშა, გლეხი ან მოსამსახურე, რომლის ინტერესი მჭიდროდ არ იყოს დაკავშირებული ამ ბრძოლასთან. უნდა გვახსოვდეს მხოლოდ, რომ მთელი ქვეყნის და, მაშასადამე, ყოველი მშრომელის კეთილმდგომარეობა მაშინ იქნება დაცული, როცა ქვეყნის საწარმოო ძალები ყველა დარგში დაცულ იქნება უნაყოფო ხარჯებისაგან.

ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს დაუდევრობას მუშაობაში. უნდა მოისპოს ყოველგვარი ზეზეურობა, საჭირო მუშაობის გასინჯვა სრული შეგნებით იმისა, რომ მეურნეობის ეკონომიურად და წესიერათ მოწყობის საქმეში ჩვენ დიდი მუშაობა გვიდგას წინ.

მტკიცე ამხანაგური დისციპლინა მუშაობაში, გადამწყვეტი ბრძოლა ამ დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ—ყველაფერი ეს უნდა იყოს საადმინისტრაციო — ოპერატიული პრაქტიკა ამა თუ იმ მუშაობის ყველა ხელმძღვანელთათვის.

შესდგე ამ გზაზე—ეს ნიშნავს მტკიცე საფუძველი ჩაუყარო ბრძოლას ეკონომიისთვის.

ფ. ხ.

# მოკლე ვადიანი შეკრება ჩვენს ნაწილებში.

## მოკლე ვადიანი შეკრება დიდი ნაყოფიერებით ტარდება.

მე-4 ლეგ. 1-ლ ტყვიამფრქვევი ასეული.

ჩვენი ასეულის ცვალებადელების მეორე შეკრება მოხდა სოფელ ქვემო-ქალაში 6 და 7 მარტს.

ცვალებადელების მთელი შემადგენლობა გამოცხადდენ დანიშნულ დროს. დაიწყო როგორც პოლიტიკური, აგრეთვე სამხედრო მეცადინეობა.

ამ ხორისთვის გამოშვებული იქნა კედლის გაზეთი „წითელი ცვალებადელის" № 1-ლი კარიკატურებით, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ცვალებადელებზე, აგრეთვე მთელ ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებზე და გლეხობაზე.

მეორე დღეს ყველა სოფლებიდან მოდიოდენ გლეხები, რომ გაეგოთ კედლის გაზეთი გამოვიდაო და მოითხოვდენ კიდევ მომავალ შეკრებისათვის მეორე ნომრის გამოშვებას.

6 მარტს საღამოს ცვალებადლებისათვის, რომლებიც დარჩენ იქვე ღამის გასათევათ, მოეწყო ჩვენივე ძალებით წარმოდგენა. დადგმული იქნა: 1) „ძველი და 2) ახალი ყაზარმა" და 3) „ზარმაცი ბესო". ცვალებადელების გარდა წარმოდგენას დაესწრო უამრავი საზოგადოება.

წარმოდგენის წინ გაკეთებული იქნა მოხსენება „ტერ-სისტემაზე და მშრომელთა გასამხედროებაზე". საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დაიშალა.

7 მარტს შესდგა კომუჯრედის კრება. ამ დღესვე დაითავრდა პროგრამის მიხედვით სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა. ხოლო სრულ 5 საათზე მოხდა მათი საზეიმო გაშვება.

ამნაირად ასეულის ორ დღიანი შეკრება ძალიან სასურველათ ჩატარდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიდ დახმარებას გვიწევს ადგილობრივი ხელისუფლება—აღმასკომი, თემკომი და სხვა.

გაშვების დროს სამთავისის კომუნის ცვალებადელებმა გვთხოვეს იქაც გამოგვეშვა კედლის გაზეთი და დაგვედგა წარმოდგენა.

ჩვენი ასეულის შემადგენლობა ეცდება, რომ დააკმაყოფილოს მესამე ან მეოთხე შეკრების დროს მათი თხოვნა და კიდევ უფრო ნაყოფიერათ იმუშაოს.

სამხკორი ალ. ნა—ლი.

## მოკლე ვადიანი შეკრება ჩვენთან.

მე-4 ლეგ. მე-5 ასეული.

მოკლევადიანი ცვალებადთა წითელ არმიელების შეკრება წარმატებით ტარდება ლეგიონის მე-5 ასეულში. პირველი ასეთი შეკრებისთანავე ასეულის ცვალებადი წითელარმიელები დაყოფილი იქნენ თავ-თავიანთ ოცეულებში და გაეცნენ თავიანთ ოც-მეთაურებს. შემდეგ ჩავატარეთ საუბრები თუ რისთვის ვახდენთ ასეთ მოკლევადიან შეკრებებს და მრავალ სხვა საჭირბოროტო საკითხებში, რამაც დიდი ხალისი გამოიწვია ცვალებად წითელარმიელებში.

იმავე დღეს ასეულის მთელი შემადგენლობა გავემგზავრეთ ალლუმზე.

მეორე შეკრება მოხდა 6 და 7 მარტს. ყველანი გამოცხადდენ დილის 8 საათზე; სრული ცხრის ნახევარზედ ჩატარდა საერთო ამოკითხვა, რის შემდეგ დავიწყეთ მეცადინეობა. დღეში შვიდ-შვიდი საათი. ყველანი გულმოდგინეთ ეკიდებოდენ დავალებებს.

მეთ. ი. ხიტირია.

## ცვალებადელთა მე-3 შეკრება.

მე-6 ლეგიონი.

ლეგიონის ცვალებადელები უკლებლივ გამოცხადდენ მე-3 მოკლევადიან შეკრებაზე.

ჯერ კიდევ ადრეა. ცვალებადელები აწოდებენ მეთაურებს თავიანთ წიგნაკებს და ეკითხებიან:

— „ამხანაგო, სად უნდა მივიდე? მე ვარ მიწერილი სამნეო გუნდზე, ქიმიურ ოცეულზე, საკომენდანტო ოცეულზე".

ისმის ძახილი: „დადექ!" ცვალებადელები დგებიან წყობილებაში. მეთაურები გვერდში ამოუდგენ თავ-თავიანთ ცვალებადელთა ნაწილებს. აწარმოებენ ამოკითხვას. ზოგი მათგანი აღმოჩნდა ავათმყოფი, მაგრამ მაინც სავალდებულოთ უცვნია, რომ გამოცხადებულიყო შეკრებაზე.

ასეთები გაგზავნილ იქნენ ლეგიონის ქსენონში. დადგა მეცადინეობის დრო და უფპოლიტშემადგენლობა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, წინაწარ გამომუშავებულ ცხრილის მიხედვით. პოლიტმეცადინეობისათვის ცვალებადლები გაყოფილი იქმნენ ორ ჯგუფად: 1) რუსული და 2 ქართული.

პოლიტსაათის შემდეგ კვლავ ისმის მეთაურების ბრძანება და მოწყობის შემდეგ გადიან მინდვრათ სამხედრო მეცადინეობის ჩასატარებლათ.

ველზედ გამოყოფილი იქნენ ზოგიერთები საომარ ვაზნებით ვარჯიშის გასავლელათ. სროლას დიდი ხალისით აწარმოებდნენ.

დაიწყო სროლის საქმის საათი. ზოგი მეთაური უხსნის და ასწავლის: სროლის ილეთს—ზეზეულა, ზოგი ჩამუხლით, ზოგი თოფის გატენას და ვაზნების ამოღებას, ზოგი დგანან დაზგასთან—დამიზნების შესასწავლათ და სხვა. ცვალებადელები კარგად ითვისებდნენ მეთაურების მიერ გადაცემულს.

საერთოდ მესამე შეკრება ლეგიონში ძლიერ წარმატებით ჩატარდა და იმედია უფრო ნაყოფიერად ჩატარდება მორიგი შეკრებებიც.

დ. მაჭავარიანი.

## მოკლე ვადიანი შეკრება ენისელის წერტზედ.

მე-6 ე ლეკ. მე-9-ე ას.

ღირსშესანიშნავი გამოცდა იყო ჩვენთვის ცვალებადელთა მოკლე ვადიანი შეკრების ჩატარება. ამის ნიშნები უკვე მივიღეთ პირველ შეკრების დროს, რომელზედაც გამოცხადდა ცვალებადელების 100 პროც.

მეორე შეკრებისათვის—6-7 მარტს ასეულმა შესძლო რული ასი პროცენტითვე შეეყარა თავი აღრიცხვაზედ აყვანილ ამხანაგებისათვის.

6 მარტს დილიდანვე მოეშურებოდნენ წერტისაკენ სიმღერით-ყიჟინით, ზურნით და დროშებით ხელში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ცვალებადელები დაყოფილი იქნენ ოცეულებათ, გამოიყვენ მათგან ათეულის მეთაურები და შემდეგ კი შეუდექით მეცადინეობას, რაც წარმატებით იქნა ჩატარებული. შეკრების დამთავრებისას ყველამ ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ჩვეულებრივად ერთად და უფრო ალისიანათ მოიყრიან თავს მორიგი შეკრების დროს.

გ. გველესიანი.

## მოაგვარეთ ეს საქმე.

მე-2 დივ. ჯანმრთელობის განყოფილების საყურადღებოთ.

არ იქნა და არ მოგვარდა პერიფერიებში მყოფ დივიზიის ნაწილებისათვის საექიმო დახმარების საქმე. ჯერ კიდევ გასულ წელში გვქონდა ამის შესახებ დიდი ბრძოლა და როგორც იქნა მოგვარდა საქმე, მაგრამ ეხლა პროვინციების აფთიაქები კიდევ უარით გვისტუმრებენ და არ იძლევიან წამლებს უფასოდ სამხედრო პირებზე—წითელარმიელებსა და სხვებზე.

აფთიაქები გვიჩვენებენ ბრძანებას, „რომ სამხედრო ნაწილებს წამლები არ მიეცემათ უსასყიდლოთო". აღმასკომებიც ისე გვიპასუხებენ, რომ თქვენთვის ასეთი დახმარება არა გვაქვს შეტანილი ბიუჯეტშიო.

მოკლევადიანი შეკრების გატარების დროს ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ვარდებით ამ მხრივ.

საჭიროა შესაფერი ზომები მიიღონ, ვისაც ეს ეხება, თორემ შესაძლებელია ავადმყოფობამ ფეხი მოიკიდოს ნაწილებში და მწვავე ხასიათიც მიიღოს.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

## ჩვენი ნაწილების კედლის გაზეთები.

კედლის გაზეთის მუშაობა არა დგას თავის სიმაღლეზე.

[მეთაურთა სკოლა.

კედლის გაზეთი წითელ არმიელის კულტურულ დონის ამაღლების, მისი საბრძოლო უნარიანობის განმტკიცებისა და სხვა საქმეში უდიდეს როლს ასრულებს.

ამ მაღალ ამოცანების შესრულებაში, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობა მეტად სერიოზულია.

სარედაქციო კოლეგიამ მთავარი ყურადღება წ. არმიელთა კორესპონდენციებს უნდა მიაქციოს, რათა წ. არმიელებისაგან მოწვდილი მასალები შესაბამისათ იქნეს დამუშავებული, რათა შეაჩვიოს ისინი მართლწერის და აზრების სწორად გადმოცემას.

ასეთი მითითება სჭირია ქარ. მეთაურთა სკოლის საარტილერიო და ცხენოსან განყოფილების კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას.

სარედაქციო კოლეგია მასალებს ღებულობს კურსანტებისაგან, სადაც ბევრია გრამატიკული შეცდომები, ზოგჯერ აზრიც არ არის სწორად გაშუქებული.

სამწუხაროდ მასალების მეტ პროცენტს სარედაქციო კოლეგია გადაუმუშავებლად ათავსებს თავის გაზეთში, რაც უკარგავს მას ყოველგვარ ინტერესს. მეორე ნაკლი ჩვენი გაზეთის მდგომარეობს იმაში, რომ ის არ გამოდის თავის დროზე. გაზეთი უნდა გამოდიოდეს ორ კვირეში ერთხელ თანხმად სარედაქციო კოლეგიის დადგენილებისა; მიუხედავად ამისა ის ხშირად თვეში ერთხელაც არ გამოდის.

გაზეთის გვიან გამოსვლის შესახებ, სარედაქციო კოლეგიას ასეთი გასამართლებელი საბუთი მოყავს: „მასალებს არ გვაწვდიან და ჩვენც გაზეთს არ ვუშვებთო". მაგრამ თუ სარედაქციო კოლეგია თავის მუშაობას შესაფერის სიმაღლეზე დააყენებს და მხედველობაში მიიღებს ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ფაქტებს მთელი საარტილერიო და ცხენოსან განყ. კურსანტები 100 პროც. ჩაებმებიან გაზეთის გაჯანსაღების საქმეში. ჩვენი სურვილია, რომ სარტ. და ცხენ. განყოფილების სარედაქციო კოლეგიას ამრიგად წარემართოს თავის მუშაობა.

სამხკორი დერ—შ.

## ვსწავლობთ ქიმიას.

1-ლი ლეგიონი.

ერთ კვირაზე მეტია, რაც ლეგიონში დაიწყო მეცადინეობა სამხედრო ქიმიაში. ყველა ასეულებიდან და ბატარეიებიდან მივლენილი იქნენ ქიმიურ კურსებზე ათეულის თავები. კურსები ერთთვიანია.

ჯერ-ჯერობით გავდივართ ქიმიის წარმოშობის ისტორიას. მალე გადავალთ თვით ქიმიურ ნივთიერებათა განხილვასა და მათ გამოყენებაზე სამეურნეო და სამხედრო მომზადებისათვის.

ამხანაგები გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას.

სამხკორი შრაპნელი.

## ექსკურსია ზოოლოგიურ მუზეუმში.

2-ე არტლეგიონი.

11 მარტს ლეგიონის წითელ არმიელები წაიყვანეს ზოოლოგიური მუზეუმის დასათვალიერებლად. წითელ არმიელები დიდი სიხარულით შეეგებენ ექსკურსიას.

ყველას ძლიერ აინტერესებდა მუზეუმის ნახვა, რადგან მისი ქება დიდი ხნია გვესმოდა სხვა ნაწილების ამხანაგებისაგან.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მშვენივრად განწყობილმა მუზეუმმა. განცვიფრებაში მოვიდენ წითელ არმიელები დილომში მოკლული ვეფხვის „ჩუჩელის" ნახვით.

საზოგადოთ აქვე გავეცანით ამიერკავკასიაში მობინადრე სხვა და სხვა გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს.

ექსკურსიით დიდათ კმაყოფილი დარჩენ წითელ არმიელები. კარგი იქნება ჩვენი უფროსები ხშირად გვაჩვენებდენ ასეთ საინტერესო დაწესებულებებსა და ადგილებს.

წ. არმ. პარმენ ბურკაძე.

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს.

1-ლი ლეგიონის ბატარეია.

ჩვენს ბატარეიაში იშვიათი გულმოდგინეობით ასრულებენ წითელ არმიელები ყველა დავალებებს. სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს. წითელ არმიელები მეტად არიან დაინტერესებული აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებისა და ლიტერატურით საერთოდ. ლენინის კუთხე სავსეა ყოველ თავისუფალ საათებში ნაწილის წითელ არმიელებით, რომლებიც ენერგიულად კითხულობენ ლიტერატურას.

სისტემატიურად უშვებთ კედლის გაზეთს, რომელშიდაც თანამშრომლობენ თითქმის ყველა წითელ არმიელები. ისინი თავის დროზე აწვდიან მასალებს სარედაქციო კოლეგიას. ნაწილის მეთაურები ძლიერ გახარებული არიან ჩვენი ასეთი მუშაობით და ხშირად გვაქეზებენ, გვაძლევენ სხვა და სხვა ამოცანებს. ხშირად თვითონაც მოდიან ჩვენთან და გვესაუბრებიან, რაც ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს წითელ არმიელებზე.

სამხკორი ლუხუტაპირელი.

## კავშირიც ასეთი უნდა!

ცენტრ. პარტსკოლის საყურადღებოთ.

ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში მოვიდენ 2-ე მესანგრე ასეულში ცენტრ-პარტსკოლის წარმომადგენლები და აგვიყვანეს კულტურული შეფობის ქვეშ.

ამხანაგებმა აღგვითქვეს, რომ მჭიდრო კავშირს დაიკავშირდენ ჩვენთან. ასეთი დაპირებით დაგვცილდენ ამხანაგები, მაგრამ მას შემდეგ ისე გავიდა სამი თვე, რომ სრულიად არ გავხსენებივართ.

მარტში როგორც იქნა გავახსენდით ჩვენს შეფს და მოგვინახულეს.

გამოგვკითხეს, თუ რაში გვეჭირვებოდა უმთავრესად დახმარება. ჩვენ ვსთხოვეთ მოეცათ ჩვენთვის დრამწრის ხელმძღვანელი. ისინიც შეგვპირდენ, მაგრამ სამწუხაროთ ეს დაპირებაც დაპირებად დარჩა. ორი კვირა გავიდა მას შემდეგ და ჩვენთან არავინ გამოუგზავნიათ ამის მსგავსი.

საინტერესოა ვიცოდეთ: ან შეპირებით მაინც რად იწუხებენ თავს ამხანაგები?

ასეთი შეფი და კავშირი ჩვენ ვერაფერს გაგვიკეთებს.

სამხკორი სანდროშვილი.

## მოწერილი წერილებიდან

მე-4 ლეგ. მე-3 ათასეულის მეთაურები—სამხკომი და ათასეულის თავი დიდ დახმარებას უწევენ გრძელ ვადიან შვებულებაში წასულ წითელარმიელებს. ისინი შუამდგომლობენ სხვა და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მათი (წითელარმიელების) პირველ რიგში სამსახურში მიღების შესახებ. ამხანაგების დახმარებით მიღებული იქნა ბორჯომის ქარხანაში ხუთი კაცი, ხაშურის დეპოში—4, გომის სპირტის ქარხანაში—2 კაცი და სხვა. იმედია ამხანაგები არც სხვას მოაკლებენ თავის მზრუნველობას.

სამხკორი ისარი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## 1-ლი მესანგრეთა ასეულის ჯგუფი.

ასეულის ახკომკავშირის მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა ნაწილში ახალწვეულების მოსვლის შემდეგ. ჩამოყალიბებული იქნა სხვა და სხვა წრეები, საკავშირო პოლიტ-სკოლა და სხვა.

9 მარტს შესდგა ჯგუფის კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება დეზერტირობასა და სამხედრო დისციპლინის შესახებ. შემდეგ დამტკიცებული იქნა მარტის თვის სამუშაო გეგმა. ავირჩიეთ საშეფო კომისია სოფელში მუშაობის ჩასატარებლად და ადგილობრივ სამოქალაქო პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის დასაჭერად.

საერთოდ ჩვენი ორგანიზაცია ძლიერია ასეულში. მუშაობაც გაცხოველებულია და შესაფერ შედეგებსაც ვღებულობთ.

ახკორი დ. ენუქიძე.

## განვაახლეთ მუშაობა.

მე-2-რე არტლეგიონში—არსებობდა 1-საფეხურის პარტ-სკოლა, რომელიც სხვა და სხვა ტეხნიკური მიზეზების გამო ვერ აწარმოებდა დღემდე ნორმალური მუშაობას.

უკანასკნელად გამოსწორებული იქნა ეს მიზეზებიც და ამ თვის 10-ში განახლდა მუშაობა. პირველი საათი დიდი წარმატებით ჩატარდა.

მრავალი შეკითხვებით და აქტიური მონაწილეობით პარტ-ამხანაგებმა საფუძვლიანად შეითვისეს საუბარი. შემდეგ საუბრისთვის 3 ამხანაგს დავალებული აქვთ რათა მოემზადონ და თანამოხსენებლის სახით გადმოჰცეს საუბრის შინაარსი. საქ რობ მხოლოდ—ბიბლიოთეკამ შეიძინოს სათანადო წიგნები, რაც გაუადვილებს ჩვენ პარტ-ამხანაგებს მომზადებისთვის მუშაობას.

პარტკორი ა. პაპოვი.

## მეთაურთა სკოლის სამფეხოსნო და სამნეო ასეული.

სკოლის ხსენებულ ასეულების ახკომკავშირის ჯგუფი ამ სამი თვის წინად აერთიანებდა სულ 15 წევრს. ამჟამად ჯგუფის წევრების რიცხვი 40-მდე აღწევს.

წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან საზოგადოთ ჯგუფის მუშაობით. უპარტიოთა შორის ჯგუფის ავტორიტეტი თანდათან იზრდება. კავშირში წევრად შემსვლელთა რიცხვი თანდათან იზრდება. ხშირად იმართება ღია გაერთიანებული კრებები ასეულების წითელ-არმიელებთან ერთად.

ამ დღეებში ჩატარებული იქნა ერთი ასეთი კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობისა და პარიზის კომუნის შესახებ. წითელ არმიელებს მრავალი შეკითხვები შეჰქონდათ განსაკუთრებით პარიზის კომუნის შესახებ, რაზედაც ღებულობდენ დაწვრილებით ახსნა განმარტებას.

დასასრულ კრებამ განიხილა წითელ არმიელ იოსელიანის განცხადება კავშირში მიღების შესახებ. ამხანაგი სათანადო დაკითხვისა და გამოცდის შემდეგ მიღებული იქნა.

საერთოდ კავშირის მუშაობა ძლიერ გამოცოცხლდა ამ უკანასკნელად იმის გამო, რომ ჩვენთან მომაგრებული არიან სკოლის კურსანტები.

სამხკორი ამ. კვიკვიძე.

## ასე უფრო აჯობებს.

1-ლი ლეგიონის მე-3-მე ასეულში სისტემატიურად სწარმოებს დაბალ საფეხურის პარტ-სკოლის მეცადინეობა, რომელსაც ესწრებიან როგორც თვითხსენებულ, ისე სხვა ასეულების ზოგიერთი წითელ არმიელები და გუნდებიდან მომაგრებული ამხანაგები. მეცადინეობას ხელმძღვანელობს პოლიტ-ხელი ამხ. სვანიძე. სამწუხაროდ მეცადინეობას დაყვა თავიდან ერთი უდიდესი დეფექტი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სამეცადინოთ დაგვითმეს ასეულის სამწერლო, სადაც ძლივს-ძლივობით თავსდებიან მსმენელები. კარგი იქნებოდა, რომ ეს მეცადინეობა იწარმოებდეს არა სამწერლოში, არამედ ასეულის ლენ-კუთხეში, სადაც თვით, როგორც ეს მუდმივი მსმენელები, ისე თავისუფალ წითელ არმიელებს საშვალება მიეცემოდათ მეცადინეობაზე დასწრების, რაც უფრო მეტ ნაყოფს მოიტანს.

წ. არმ. მოლოდინი.

**ქართულ წითელ არმიის აღმშენებლობის 5 წლის თავი ახლოვდება. დააჩქარეთ მასალების გამოგზავნა რედაქციაში.**

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

ტფილისის სამხედრო გოსპიტალში ამ უკანასკნელად ცუდ პურს იძლევიან ავადმყოფებზე. 8 მარტს სადილობის დროს უვარგისი პური მივიღეთ, ავადმყოფებმა პირი ვეღარ ახლეს საჭმელს. საჭიროა ვისაც ეს ეხება მიაქციოს ყურადღება და გააუმჯობესონ პურის ხარისხი.

სამხკორი არტემი.

1-ლი ლეგიონის მე-2 რე ასეულში არა გვაქვს დასაწოლი „კოიკები". თითეულ „კოიკაზე" რამოდენიმე წითელ არმიელს გვიხდება წოლა, რის გამო ისინი იმტვრევიან. დროა ლეგიონის კომენდანტმა ყურადღება მიაქციოს და მოგვცეს დასაწოლი „კოიკების" საჭირო რაოდენობა.

სამხკორი ქვემეხი.

პირველი ლეგ. ბატარეის სამზარეულოში ძლიერ ცუდათ მზადდება ფლავი და ქაში. არ უშვებიან ზეთსა და ქონს. ხშირად ამის გამო მშიერი რჩებიან წითელ არმიელები. რა არის მიზეზი ვერ გაგვიგია. თუ სამზარეულო არ ღებულობს ლეგიონიდან საჭიროა საკმაზს, მაშინ ზომების მიღება საჭირო, რომელიც უნდა ახსოვდეს სამნეო ნაწილს, ხოლო თუ ეს საკმაზი ეცემა და სხვაგან იფლანგება, რატომ თვალყურს არ ადევნებს ამას ვისაც ეხება? დროა დროზე მოაგვარონ ეს საქმე.

სამხკორი ლუხუტაპირელი.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"**

# უცხოეთის არმიებში

## შხამიანი ნივთიერებანი.

ამ რამოდენიმე დღის წინად ინგლისის სამინისტროში შეკითხვა შეიტანა პარლამენტის ერთმა წევრმა შხამიანი ნივთიერების მოხმარების შესახებ. მინისტრმა შეკითხვაზე წერილობით გასცა პასუხი, რომელშიდაც სხვათა-შორის ნათქვამია, რომ 1925 წლის 14 მაისიდან -1926 წ. 31 იანვრამდე შხამიანი ნივთიერებათა გამოცდის მიზნით გამოყენებული იქნა 2138 ცხოველი. ამ რიცხვიდან 447 დაიხოცენ ცდების დაწყებისთანავე, ხოლო 1132 კი ერთი თვის შემდეგ.

**მოსახლეობის სამხედრო მომზადება ლატვიაში.**

იანვრის ბოლო რიცხვებში ლატვიის მთავრობამ საბოლოოდ დაამტკიცა დებულება ლატვიის სასწავლებლებში სამხედრო სწავლების შემოღების შესახებ. დებულების ძალით სამხედრო მომზადების გავლა სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის როგორც დაწყებით, ისე საშუალო სასწავლებლებში. სამხედრო მომზადებისათვის გადადებული საათების რიცხვი შეტანილი იქნება საერთო გაკვეთილებისათვის გადადებულ საათებში.

სამხედრო საგნებში კარგათ მომზადებული მოწაფეები ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის დროს ღებულობენ შეღავათებს.

მოსამზადებელ სასწავლებლებში სამხედრო მზადება იწყება მეხუთე კლასიდან—კვირაში ერთჯერ. ამას გარდა ყოველწლიურად სამხედრო მომზადებისათვის გამოყოფილია 4 დღე. საშუალო სასწავლებლებში კი 1 საათი კვირაში და ამას გარდა კიდევ 5-თი დღე წელიწადში. სტუდენტებისათვის ორჯერ მოეწყობა ზაფხულობით ოთხკვირეული სამხედრო მეცადინეობა ველში. სამხედრო სამსახურში ნამყოფი სტუდენტები ამ მოვალეობისაგან თავისუფლდებიან. იარაღს იძლევა სამხედრო სამინისტრო.

სამხედრო სწავლების ინსტრუქტორებათ დანიშნული არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურის ოფიცრები.

# მეცნიერება და ტექნიკა

## როგორაა მოწყობილი ქვეყნიერება.

რამდენი ვარსკვლავია ცაზე. არსებობს ძველი გადმოცემა ერთ ჭკუიან მწყემსის შესახებ: როდესაც მეფემ ჰკითხა მას თუ რამდენი ვარსკვლავია ცაზე, მან უპასუხა:

— უბრძანე ჩამოვიდენ ისინი ციდან ძირს და მაშინ დავითვლით. ამჟამად საქმე კი უფრო გაადვილებულია.

ვარსკვლავების დათვლა დედამიწიდან შეიძლება. ხოლო შეიძლება მათი რიცხვის სრულიად გაგება? ამას კაკობრიობა ვერ შეძლებს.

ვარსკვლავები იმდენად უამრავია სამყაროში, რომ მათი რიცხვის გაგება ყოვლად შეუძლებელია. პირველყოვლისა ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მზეებს—ესე იგი ბრწყინავ ვარსკვლავებს. ჩაქრობილი ვარსკვლავები კი—პლანეტები ჩვენთვის მიუწდომელია, მათ უმრავლესობას ჩვენ ვერ ვამჩნევთ ცის თაღზე. ინგლისელ მეცნიერმა კაპტეინიმ მარტო ე. წ. რძის გზის კრებულში აღმოაჩინა ერთ მილიარდ ბრწყინავ ვარსკვლავებზე მეტი. რამდენი იქნება იქვე ჩამქრალი ვარსკვლავები? ამის გაგება შეუძლებელია.

**ცის არშინი.**

როგორ თავსდება ვარსკვლავებისა და მზეების ეს უამრავი რიცხვი ცის თაღზე? სად არის სამყაროს დასასრული? როგორია მანძილები ვარსკვლავებს შორის? მეცნიერებამ შესძლო ზოგიერთ ვარსკვლავებს შორის მანძილის გამოთვლა, რამაც უზარმაზარი რიცხვი მოგვცა. სამყაროს მანძილის გასაზომად მეცნიერებმა შემოიღეს საზომად ე. წ. სინათლის წელიწადი.

სინათლე—ერთგვარი ტალღები, რომლებიც მოემართებიან მანათობელი სხეულიდან ჩვენსკენ. იმისთვის, რომ სინათლის სხივმა მოაღწიოს ჩვენს თვალამდე, საჭიროა რაღაც დრო. მაგალითისათვის—თუ ჩვენ ჩავაგდებთ წყალში ქვას, მის მიერ გამოწვეული ტალღების მოსვლამდე ჩვენთან საჭირო დრო. ამის შემჩნევა ყველას შეუძლია.

მეცნიერებამ გამოიანგარიშა რომ სინათლის ტალღა ერთ წამში (სეკუნდა) გადის 300 ათას კილომეტრს. წელიწადში ის გაივლის 9.000.000.000.000 (9 ტრილიონ) კილომეტრს. ეს რიცხვი რომ გადავსთვალოთ სათითეულოდ და შეუსვენებლად დღე-ღამის განმავლობაში, დაგვჭირდება 150 ათასი წელიწადი. აი ეს სინათლის წელიწადი არის ის მანძილი, რომელსაც გადის სინათლის ტალღა წელიწადში—ეს არის ცის არშინი.

# ახალი ამბები.

ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით ახალი ავათმყოფობით—კეთრით, დღემდე დაავათმყოფდა 12 კაცი.

რკ ნისგზა სად. ბორჯომიდან ბორჯომ-ბაკამდე ნაცვლად ვიწრო-ლიანდაგიანი რკინისგზისა გაყავთ ფართო ლიანდაგიანი რკინისგზა.

პარიზის კომუნის დღის—18 მარტის დღესასწაულის ჩატარება დაევალა რემეებს.

ჯანსახკომმა მიიღო საზღვარგარეთიდან რამოდენიმე ყუთი საექიმო ხელსაწყო იარაღები.

შინამრეწველობისათვის აკ. ცენტრ. კოოპ. ბანკმა საქ. შინამრეწველობის ბიუროს გაუხსნა სესხი 35 ათასი მანეთის რაოდენობით.

წყლის დ ხარჯვა. გასულ თვეში ტფილისმა დახარჯა 26 მილიონი ვედრო წყალი.

მოსკოვში და ლენინგრადში გაიგზავნენ ექიმები და მოწყალების დები ქულქის და ვენერიულ სნეულებათა შემსწავლელ კურსებზე.

სათემო საბჭოები. საქართველოში ავტ. რესპუბლიკების მიმატებით ითვლება 482 სათემო საბჭო.

**ხელოვნება.**

წითელ არმიელთა კლუბში 18 მარტს გაიმართება დიდი საღამო წითელ არმიელთა და მათი ოჯახის წევრებისათვის.

მუშათა კლუბებში პარიზის კომუნის დღეს (18 მარტს) გაიმართება მოგონებათა საღამოები.

## ჩვენი ფოსტა.

ალგზნებულს თქვენი ლექსები არ გამოდგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრების შესახებ.

არველაძეს (1-ლი არტლეგიონი) კორესპონდენცია „ქალთა დღის შესახებ" დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

პ. კახიძეს. თქვენი წერილი ოჩხის კომკავშირის შესახებ გადაეგზავნა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას.

1 ლ ცალკე საკავშირო ასეულს ვინაიდან გაზეთი არ გამოგიწერიათ ფასით, გაზეთებს ვერ მიიღებთ ჩვეულებრივი რაოდენობით. თუ არ გამოიწერთ გაზეთს ნაწილისათვის სრულიად შეგიწყდებათ გზავნა.

ვ. მოლითელს საპურთალოზე გამართულ ალლუმის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში. თქვენი წერილი აღარ დაიბეჭდება.

დ. მთიაშვილს (2-რე საკავშირო ასეული) წერილი ქალთა დღის შესახებ დაგვიანებულია.

მაისურაძეს წერილი ცხინვალის ბანკის გამგის საყურადღებოთ გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის" რედაქციას.

ჩაგრულს (5-თე ლეგ.) წერილი „ასე არ უნდა ხდებოდეს" გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

მ. ჭყონიას (მე-5 ლეგ.) და ელისოს (2-რე ლეგ.) კორესპონდენციები დღესასწაულების შესახებ დაგვიანებით მივიღეთ. არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამავე ასეულის წ. ლაშქრელს ამხ. ივანე ალალოსძე ნაზაროვს კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნულ ამხანაგის შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ ამავე ასეულის კომუჯრედს.

მდივანი მურადოვი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.